სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

PhD program

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

თბილისი

2024

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	**ბიზნესის ადმინისტრირება** **Business Administration**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი** **Ph.D of Business Administration**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სასწავლო კომპონენტი - 50 ECTS, მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები: 35 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები: 15 კრედიტი. სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა 6 სემესტრი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	<u>**ხელმძღვანელები:**</u> პროფესორი გ. ღაღანიძე პროფესორი ნ. თოდუა პროფესორი ი. კოვზანაძე პროფესორი დ. ნარმანია პროფესორი თ. შენგელია პროფესორი ლ. საბაური პროფესორი დ. სიჭინავა პროფესორი ი. ხელაშვილი <u>**კოორდინატორები:**</u> პროფესორი ნ. თოდუა პროფესორი თ. შენგელია
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ან ბიზნესის შემსწავლელი სხვა მეცნიერებების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). • ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთ იმ

	ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას (უცხო ენის ცოდნის დონეების განმარტება იხ. ლინკზე https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/2452018_d2.pdf). • დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. • გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ: ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ორიგინალური კვლევების განხორციელებას; მიღებული შედეგების დანერგვას როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში, ისე წარმოებასა და ბიზნეს საქმიანობაში; თანამედროვე მეთოდებით სწავლების განხორციელებას; მკვლევარის უნარების გამოყენებას საზოგადოებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
სწავლის შედეგები	სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული: **ცოდნა და გაცნობიერება** • **ახდენს** ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თანამედროვე თეორიების ინტერპრეტირებას სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე; • ინოვაციური მეთოდების გამოყენებით **განაზოგადებს** ბიზნესის ადმინისტრირების დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას და მულტიდისციპლინურ კონტექსტში პრობლემების გადაჭრის გზებს. **უნარები** • აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით **გეგმავს** ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ორიგინალურ კვლევას; • **ახდენს** ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების ფორმირებას, რომლებიც საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის აუცილებელი სტანდარტის დონეს შეესაბამება; • კრიტიკული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე დამოუკიდებლად და ეფექტიანად **გადაწყვეტს** რთულ, კომპლექსურ პრობლემებს; • საკუთარი ორიგინალური კვლევის შედეგებს და ახალ ცოდნას

	არგუმენტირებულად **წარმოადგენს** აკადემიური, პროფესიული და ფართო საზოგადოების წინაშე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; • სწავლების რეალურ პროცესში წარმატებით **იყენებს** სწავლების თანამედროვე მეთოდებს და სტრატეგიებს. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** • დამოუკიდებლად **ახდენს** საკუთარი ორიგინალური კვლევის შედეგების დემონსტრირებას აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
სწავლების მეთოდები	ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია, დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პროექტი, პრეზენტაცია, წყვილებში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, წიგნზე მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი, სწავლება კეთებით.
შეფასების წესი	სასწავლო კომპონენტი შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. **სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის

	კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. **სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:** დადებითი შეფასება: ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. უარყოფითი შეფასება: ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით. ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროს, ასევე, განეკუთვნება ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, საწარმოო კოოპერატივები, სამეურნეო ამხანაგობები და

	საზოგადოებები), აგრეთვე, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ასევე, სახელმწიფო სტრუქტურები, როგორც ცენტრალურ დონეზე (სამინისტროები, უწყებები, პარლამენტი, ეროვნული ბანკი, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური) ასევე რეგიონულ დონეზე (გამგეობა).
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიციური აკადემიური პერსონალით და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	**დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა:** • სასწავლო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების სრულად ათვისება (50 კრედიტი); • სამეცნიერო ხელმძღვანელის და შესაბამისი კომისიის მიერ დადებითად შეფასებული ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი; • სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში ან საკონფერენციო მასალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო/სამეცნიერო კომიტეტი. ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს Scopus-ის ან Web of Science-ის ინდექსირებულ ბაზებში.

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: ***ეკონომიკა და ბიზნესი***

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ***ბიზნესის ადმინისტრირება***

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ***ბიზნესის ადმინისტრირება***

სწავლების საფეხური: ***დოქტორანტურა***

კრედიტების რაოდენობა: ***50 ECTS***

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: ***პროფ. გიორგი ღაღანიძე, პროფ. ნუგზარ თოდუა, პროფ. ირაკლი კოვზანაძე, პროფ. დავით ნარმანია, პროფ. თემურ შენგელია, პროფ. ლევან საბაური, პროფ. დემურ სიჭინავა, პროფ. იოსებ ხელაშვილი***

საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორები: ***პროფ. ნუგზარ თოდუა, პროფ. თემურ შენგელია***

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **აკადემიური საბჭოს დადგენილება:** №57/2011; 29/06/2011, **დანართი 85**. https://tsu.ge/ka/legalakad/40134

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012**

აკრედიტაციის მინიჭების თარიღი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 13 დეკემბრის № 1609896 გადაწყვეტილება **https://eqe.ge/ka/decisions/13486/show**

პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
			საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
			ლექცია	სემინარი / სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკული / ლაბორატორიული						
სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი											
1	სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები	5	-	-	60	65	125	წინაპირობის გარეშე			ე. ღვინერია
2	კვლევის მეთოდოლოგია ბიზნესში	10	15	30		205	250	წინაპირობის გარეშე	შემოდგომა		ნ. თოდუა
3	პროფესორის ასისტენტობა	10	45			205	250	სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები			ნ. თოდუა
4	დარგობრივი სემინარი	10	15			235	250	კვლევის მეთოდოლოგია ბიზნესში			ნ. თოდუა
არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი											
5	აკადემიური წერა	5	15	-	30	80	125	წინაპირობის გარეშე			გ. შაბაშვილი

6	მეცნიერების მენეჯმენტი	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე			გ. ღვედაშვილი
7	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე			ქ. ჭკუასელი
8	არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	10	30	30	-	190	250	წინაპირობის გარეშე			ვ. პაპავა
9	სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	5	15	15	15	80	125	წინაპირობის გარეშე			ს. გელაშვილი
10	პრაქტიკული მარკეტინგული კვლევის დაგეგმვა და დიზაინი[1]	5	15	15	15	80	125	კვლევის მეთოდოლოგია ბიზნესში		გაზაფხული	ნ. თოდუა
11	უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსები (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში)	10									

[1] სასწავლო კურსი სასურველია აირჩიოს დოქტორანტმა, რომელიც ასრულებს სადოქტორო ნაშრომს მარკეტინგის მიმართულებით

კვლევითი კომპონენტი:

ორი სამეცნიერო -კვლევითი პროექტი (არაუადრეს III სემესტრისა);

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება:

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

თარიღი ——————————————— ფაკულტეტის ბეჭედი